**დანართი 1:**

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

**ქალაქ ბათუმში, აფსაროსის II შესახვევი N10თ-ს მიმდებარედ/10თ/ 10ი/10ბ/10ე/10ვ/10ზ/2ო/2ო-ს მიმდებარედ/დასახლება ახალსოფელში (ს/ კ: 05.36.22.767; 05.36.22.226; 05.36.22.671; 05.36.22.079; 05.36.22.561; 05.36.22.557; 05.36.22.426; 05.36.22.475; 05.36.22.141; 05.36.22.370; 05.36.22.064; 05.36.22.532; 05.36.22.762; 05.36.22.764; 05.36.22.548; 05.36.22.766; 05.36.22.029; 05.36.22.050; 05.36.22.765) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამუშავებისათვის**

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურში მიმდინარეობს წარმოება შპს „გონიოს აპარტამენტების'' (ს/N 445742787) 2025 წლის 07 მარტის 10/1425066349-14 განცხადების საფუძველზე, ქალაქ ბათუმი, აფსაროსის II შესახვევი N10თ-ს მიმდებარედ/10თ/ 10ი/10ბ/10ე/10ვ/10ზ/2ო/2ო-ს მიმდებარედ/ დასახლება ახალსოფელში (ს/კ: 05.36.22.767; 05.36.22.226; 05.36.22.671; 05.36.22.079; 05.36.22.561; 05.36.22.557; 05.36.22.426; 05.36.22.475; 05.36.22.141; 05.36.22.370; 05.36.22.064; 05.36.22.532; 05.36.22.762; 05.36.22.764; 05.36.22.548; 05.36.22.766; 05.36.22.029; 05.36.22.050; 05.36.22.765) მრავალფუნქციური სახლის მშენებლობისათვის წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე.

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს გეგმარებითი ერთეული, რომელიც მოიცავს 19 მიწის ნაკვეთს და მისი ფართობი შეადგენს 30000 კვ.მ-ს. საპროექტო მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ სამშენებლო მიწის ნაკვეთებს. პროექტით დაგეგმილია 6 ბლოკისაგან შემდგარი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება, რომელშიც აპარტამენტების გარდა, განთავსდება საზოგადოებრივი დანიშნულების ფართები, ასევე მიწისქვეშა ავტოსადგომები. დაგეგმილია შიდა გზების, ღია ავტოსადგომებისა და გამწვანების მოწყობა.

გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, მათ შორის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა 1,2-დან 6,4-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ატვირთულია დანართის სახით, დაინტერესებულ პირებს გაქვთ შესაძლებლობა გაეცნოთ და წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები, როგორც წერილობითი ფორმით საჯარო განხილვამდე, ასევე დააფიქსიროთ საჯარო განხილვის დღეს.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებით საჯარო განხილვის ორგანიზება დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს და აღნიშნულ წარმოებაზე საჯარო განხილვა გაიმართოს მიმდინარე წლის 25 მარტს 11 სთ-ზე.